„მებრძოლ უღმერთოთა კავშირის“ მოღვაწეობის ერთი ნაკლებად შესწავლილი საკითხი

(ბრძოლა შობის დღესასწაულის წინააღმდეგ)

მიხეილ ქახთველიშვილი (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

თანამედროვე ეტაპზე, საბჭოთა კავშირის კომპლექსურ შესწავლას განსაკუთრებული მნიშვნელობა ექცევა, როგორც ქართულ, ასევე რუსულ და დასავლურ ისტორიოგრაფიაში, სადაც გამორჩეულ ადგილს იკავებს საბჭოთა რელიგიური პოლიტიკის მიმართულება, რადგან სრულიად აშკარა ხდება, რომ მისი სათანადო გაანალიზების გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია გააზრებულ იქნას საბჭოთა იდეოლოგიის, საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის ცალკეული მნიშვნელოვანი და ფუნდამენტური საკითხები.

საბჭოთა რელიგიური პოლიტიკის შესწავლის დროს ბუნებრივია განსაკუთრებული ყურადღება ექცევა „მებრძოლ უღმერთოთა კავშირს“ ორგანიზაციას, რომელთანაც დაკავშირებულია საბჭოთა ხელისუფლების მიერ გატარებული არაერთი ღონისძიება.

მიუხედავად იმისა, რომ „მებრძოლ უღმერთოთა კავშირი“-ს დაარსება, მისი მუშაობის სპეციფიკა, ძირითადი მიმართულებები და ცალკეული მნიშვნელოვანი მახასიათებლები ქართულ (ხუციშვილი, 1987, გვ. 202-228; პავლიაშვილი, 2008, გვ. 464-474; სილაგაძე, 2014) და დასავლურ ისტორიოგრაფიაში (პოსპიელოვსკი, 1988, გვ. 61-90; პერისი, 1998; სმოლკინი, 2018, გვ. 31-57). საკმაოდ კარგად არის შესწავლილი, იკვეთება გარკვეული საკითხები, რომელთა გაანალიზებასაც ნაკლები ყურადღება აქვს დათმობილი, არადა მათ სათანადო გააზრებას შესაბამისი ყურადღება უნდა მიექცეს.

წინამდებარე ნაშრომში განზრახული გვაქვს შევისწავლოთ „მებრძოლ უღმერთოთა კავშირის“ ერთი კონკრეტული მიმართულება ბრძოლა ქრისტიანული დღესასწაულების, კერძოდ შობის დღესასწაულის წინააღმდეგ. შევეცდებით გავაანალიზოთ თუ რა იყო საბჭოთა ხელისუფლების მიზანდასახულობა ამ მიმართულებით, როგორ ცდილობდნენ ისინი მათთვის სასურველ შედეგზე გასვლას. ბუნებრივია, ერთი სტატიის ფარგლებში ამ უაღრესად საინტერესო საკითხის ამომწურავად შესწავლა პრაქტიკულად შეუძლებელია ჩვენ უბრალოდ განზრახული გვაქვს გამოკვეთოთ საკითხის ძირითადი მახასათებლები.

საკვლევი პრობლემის აქტუალობას განაპირობებს რამდენიმე ფაქტი. კერძოდ პირველ რიგში, როგორც ზემოთაც უკვე აღვნიშნეთ ეს საკითხი მეცნიერულად ნაკლებად შესწავლილთა კატეგორიას განეკუთვნება, გარდა ამისა საბჭოთა წარსულის სათანადო შესწავლა აუცილებელი თანამედროვე ეტაპზე, რადგან სრულიად აშკარად იკვეთება, რომ ამ პერიოდში ჩამოყალიბებული დამოკიდებულებები თუ სტერეოტიპები ჯერ კიდევ მძაფრად არის ქართული საზოგადოების მსოფლმხედველობაში ფესვგადგმული, სწორედ ამიტომ საბჭოთა იდეოლოგიური პოლიტიკის შესწავლას განსაკუთრებული ადგილი უნდა დაეთმოს, სადაც კომუნისტური ხელისუფლების დამოკიდებულებას რელიგიისა და ეკლესიისადმი მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა მივაქციოთ.

ნაშრომში შესწავლილი გვაქვს საბჭოთა ხელისუფლების მიერ გადადგმული კონკრეტული პრაქტიკული თუ იდეოლოგიური პოლიტიკა ქრისტიანული დღესასწაულებისადმი, რა გამოხატულება ჰქონდა მას, რა ღონისძიებები ტარდებოდა ამ მიმართულებით. საგანგებო ყურადღება გამახვილდება ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორიც არის ცენტრალური ხელისუფლებიდან მომდინარე დირექტივა თუ როგორ სრულდებოდა რუსეთში და გამოხატვის რა თავისებურებები გააჩნდა ქართულ რეალობაში.

„მებრძოლ უღმერთოთა კავშირის“ სხვადასხვა კამპანიების შესასწავლად შეგვიძლია გამოვიყენოთ სხვადახვა საისტორიო წყაროები:

ბეჭდური მედია, რომელიც თავის მხრივ ორ ნაწილად უნდა დაიყოს კერძოდ მხედველობაში გვაქვს ერთის მხრივ ცენტრალური ხელისუფლების გამოცემები, მაგალითად გაზეთი „კომუნისტი“, ხოლო მეორეს მხრივ თავად მებრძოლ

უღმერთოთა კავშირის გამოცემული პერიოდიკა („მებრძოლი ათეისტი“, „მებრძოლი უღმერთო“), სადაც გადმოცემული მასალა დიდი განსაკუთრებით საინტერესოა.

საარქივო დოკუმენტები, რომლებიც დაწვრილებით და დეტალურ წარმოდგენას გვიქმნიან თუ როგორ იგეგმებოდა და პრაქტიკაში როგორ ხორციელდებოდა ცენტრალური ხელისუფლების მიერ დაგეგმილი ბრძოლა რელიიგის წინააღმდეგ ჩვენ ამ შემთხვევაში გვაინტერესებს თუ რა ღონისძიებები ტარდებოდა შობის ბრწყინვალე დღესასწაულის წინააღმდეგ. საარქივო დოკუმენტები საინტერესოა იმ თვალსაზრისითაც, რომ მათი მეშვეობით ჩვენ შეგვიძლია მეტ-ნაკლები სიზუსტით განვსაზღვროთ თუ როგორი იყო მოსახლეობის დამოკიდებულებები ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯებისადმი.

სააგიტაციო ბროშურები და სალექციო მასალები, ეს არის მასალა, რომლებსაც „მებრძოლ უღმერთოთა კავშირი“ გამოსცემდა ძირითადად ორი მიზნით, პირველ რიგში მათი გავრცელებით მოსახლეობის ფართო ფენებში უნდა მომხდარიყო საზოგადოების დარწმუნება კომუნისტური იდეების ჭეშმარიტებაში, ხოლო მეორეს მხრივ კი ეს ყველაფერი აქტიურად უნდა გამოყენებულიყო სხვადასხვა ლექციების ორგანიზებასა და ჩატარებაში, ამ ყველაფერს უნდა ჰქონოდა აქტიური და კამპანიური ხასიათი, რათა არ მომხდარიყო საქმიანობაში ჩავარდნა.

ნაშრომში შესწავლილია ის ღონისძიებები, რომლებითაც ხელისუფლება ცდილობდა მოსახლეობაში გაეფერმკრთალებინა მოსახლეობის დამოკიდებულება ამ უდიდესი ქრისტიანული დღესასწაულისადმი. კომუნისტური რეჟიმი „მებრძოლ უღმერთოთა კავშირის“ მეშვეობით ფართო, აქტიურ და მრავალფეროვან აგიტაცია-პროპაგანდას და პრაქტიკულ მუშაობას ეწეოდა ამ მიმართულებით. კერძოდ მიმდინარეობდა ანტირელიგიური შინაარსის მასალის პუბლიკაცია, როგორც ცენტრალურ ასევე ორგანიზაციის პრესის ფურცლებზე, იბეჭდებოდა ანტირელიგიური თემატიკის ბროშურების გამოცემა და მათი მოსახლეობის ფართო ფენებში გავრცელება, აქტიურად ტარდებოდა შობის დღესასწაულის საწინააღმდეგო შინაარსის მქონე საჯარო ლექციები, როგორც თბილისის ასევე რეგიონების მასშტაბით. ამგვარ ღონისძიებებზე დასწრება მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის სავალდებულო იყო, რისი კონტროლიც აქტიურად მიმდინარეობდა, ასევე საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლები აქტიურად ცდილობდნენ ჩაეშალათ დღესასწაულისადმი მიძღვნილი წირვა-ლოცვა, ეს მიმართულება განსაკუთრებით აქტიურად რაიონებში იყო აქტიური, რადგან უღმერთო აქტივისტებს ადვილად შესძლებოდათ ადგილობრივ მოსახლეობასთან მარტივი გამკლავება.აქტიურად მიმდინარეობდა საზოგადოების ყველა ფენის დაშინება და ტერორი.

დასაწყისში, აუცილებლად მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ქრისტიანული დღესასწაულებისადმი ასეთი უარყოფითი დამოკიდებულება მხოლოდ „მებრძოლ უღმერთოთა კავშირის“ დაარსებას არ უკავშირდება და იგი კომუნისტურ ხელისუფლებას მანამდეც ახასიათებდა. ამ შემთხვევაში ბრძოლის წინა ხაზი კომკავშირულ მოძრაობაზე გადიოდა, რომელიც ამ ბრძოლის აქტიური შემოქმედი იყო. ჩვენ მხედველობაში გვაქვს 1922-1923 წლების ანტისაშობაო კამპანია, რომელიც ფართოდ აისახა გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებზე.

გაზეთ „კომუნისტის“ 1922 წლის 31 დეკემბრის ნომერში დაიბეჭდა ორი სააგიტაციო შინაარსის სტატია: ერთის ავტორი გახლავთ იმ დროს საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე დავით გვაზავა, რომელიც თავის წერილში „ანტირელიგიური კამპანიის დასაწყისი და კომკავშირის შობა“ წერდა რომ ათეისტურ კამპანიაში განსაკუთრებული ადგილი კომკავშირს უნდა შეესრულებინა (გვაზავა, 1922, გვ. 1), ხოლო მეორე „როგორ იბადებიან ღმერთები. თეზისები ახალგაზრდათა კომკავშირის შობის დღესასწაულისათვის“ საინტერესოა იმ კუთხით, რომ მასში გადმოცემულია ის ძირითადი მიმართულებები, რომლის მიხედვითაც კომკავშირს თავისი მუშაობა უნდა ეწარმოებინა (როგორ იბადებიან, 1922, გვ. 1). 1922 წლის მიწურულს კომკავშირის მიერ დაწყებული ანტირელიგიური კამპანია 1923 წლის დასაწყისშიც გაგრძელდა და შემდგომ პუბლიკაციებში: „საეკლესიო დღესასწაულები: შობა ქრისტესი“ (საეკლესიო დღესასწაულები, 1923, გვ. 2) და „კომუნისტური ახალგაზრდობის შობის დღესასწაული“ (ს. მ. 1923, გვ. 3). ვხედავთ ხელისუფლების მიერ წარმოებული პოლიტიკის აუცილებლობის დასაბუთებას.

ანტირელიგიური კამპანიები შობის დღესასწაულის წინააღმდეგ გაგრძელდა 1924 წელსაც, რაც ბუნებრივია ცენტრალური პრესის ფურცლებზე ასევე აისახებოდა. სტატიაში „კომკავშირის შობისათვის“ გადმოცემულია აზრი, რომ ხელისუფლებას ანტირელიგიურ მუშაობაში აქტიურად უნდა გამოეყენებინა სასოფლო-სამეურნეო წრეები და ქოხ-სამკითხველოები, სადაც წაკითხული უნდა ყოფილიყო შესაბამისი თემატიკის მოხსენებები, ლექციები, დადგმულიყო წარმოდგენები, რომლებიც დროთა განმავლობაში მოსპობდა ძველ ზნე-ჩვეულებებს და აზროვნებას (შ. ა. 1924, გვ. 2), მეორე სტატიაში კი ყურადღება გამახვილებულია კომკავშირის განსაკუთრებულ როლზე

ამ კუთხით მუშაობაში, მას უშუალო ხელმძღვანელობა უნდა გაეწია პარტიული მუშაკებისათვის (კეკელია, 1924, გვ. 2)

სააგიტაციო მუშაობის შესწავლის თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ რამდენიმე გამოცემას, სადაც ძალიან მკაფიოდ არის გაშლილი მსჯელობა თუ როგორ უნდა ყოფილიყო მუშაობა გაშლილის შობის ბრწყინვალე დღესასწაულის წინააღმდეგ.

როდესაც მებრძოლ უღმერთოთა კავშირის მიერ გატარებულ სხვადასხვა ღონისძიებებზე ვსაუბრობთ საინტერესოა აღვნიშნოთ, რომ 1930-1931 წლებში სოლომონ ყუბანეიშვილის ავტორობით სამჯერ გამოიცა ბროშურა „შობის დღესასწაული“ მისი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს რომ მასში რეალურად ხელისუფლების დამოკიდებულებაა ასახული, კერძოდ ავტორი ცდილობდა განსაკუთრებული ყურადღება მიექცია მისი აზრით სხვადასხვა რელიგიურ ტექსტებში არსებულ უზუსტობებზე, რომლებიც ანტირელიგიური პროპაგანდისათვის გამოდგებოდა, ამ კუთხით განსაკუთრებით საინტერესოა მესამე გამოცემა, რომელიც შევსებულ და გადამუშავებულ გამოცემას წარმოადგენს და ავტორს წინა გამოცემებისგან განსხვავებით ყურადღება აქვს მიქცეული ცალკეულ ადათებზე, რომლებიც შობის დღესასწაულს ახასიათებს (ყუბანეიშვილი, 1931, გვ. 42-50).

1938 წელს გამოვიდა ნიკოლოზ რუმიანცევის წიგნი „ქრისტეს შობა, მისი წარმოშობა და კლასობრივი როლი“, სადაც ავტორი ასევე მეცნიერული მეთოდების მოშველიებით ცდილობს გამოარკვიოს ისეთი საკითხები, რომელთა შესწავლასაც მისი აზრით განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულად თვლის, რომ „აუცილებელია გავაძლიეროთ ახსნაგანმარტებითი მუშაობა, ვუჩვენოთ საშობაო ზღაპრების მავნეობა და უაზრობა - გამოვამჟღავნოთ მათი კლასობრივ-ექსპლოტატორიული დედაარსი. ამასთან ერთად აუცილებელია გამოვარკვიოთ შობის დღესაწაულისს და მასთან დაკავშირებული თქმულებათა და ჩვეულებათა ნამდვილი ისტორია (რუმიანცევი, 1938, გვ. 9).

მებრძოლ უღმერთოთა კავშირის გამოცემებში დასახელებულია ის გეგმა რომლის მიხედვითაც უნდა ყოფილიყო აგიტაცია შობის დღესასწაულის წინააღმდეგ, პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ თვითონ ბოლშევიკებიც კი აღიარებდნენ რომ ეს დღესასწაული მორწმუნე საზოგადოებისათვის განსაკუთრებულად ძვირფასი და მნიშვნელოვანი იყო, მიტომ მუშაობა უნდა განსაკუთრებული ყურადღებით ჩატარებულიყო.

მებრძოლ უღმერთოთა კავშირის გამოცემაში შობის დღესასწაულის წარმოშობა და კლასობრივი არსი თვალსაჩინოდ არის გადმოცემული სალექციო მუშაობის ის მინიმალური სტანდარტი, რომელსაც აღნიშნული ორგანიზაცია ამკვირდებდა ანუ როგორ უნდა აგებულიყო ლექცია.

პირველ რიგში უნდა მომხდარიყო ლექციის მიზნებისა და ამოცანების მკაფიო განმარტება კერძოდ ლექციის მიზანი უნდა ყოფილიყო თუ როგორ წარმოიშვა ეს დღესასწაული, თუ როგორია მისი ნამდვილი დედაარსი და როგორ იყენებდნენ მას ექსპლუატატორული კლასები, რაც შეეხება ლექციის გეგმას მასში განსაკუთრებული ადგილი უნდა დათმობოდა, იმ საკითხის გაშლას, რომ შობა წარსულის მავნე ნაშთია და აუცილებელია მის წინააღმდეგ ბრძოლა, ეს ბრძოლა კი მხოლოდ და მხოლოდ მაშინ იქნებოდა შედეგიანი თუ მასში საკითხის სიყალბის ისტორიული ფესვები იქნებოდა გამოაშკარავებული, მითითების მიხედვით აუცილებელი იყო მოსახლეობისათვის მიეწოდებინათ და განემარტათ რელიგიის შესახებ, მარქსის, ენგელსის და ლენინის შეხედულებები, დაერიგებინათ ათეისტური შინაარსის ბროშურები.

აგიტაციისა და სალექციო მუშაობის დახვეწისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბროშურას „ქრისტეს შობის" დღესასწაულის წარმოშობა და რეაქციული როლი (მასალები მომხსენებელთათვის), სადაც ლექციის მასალები თეზისების სახით არის მოცემული და განსხვავებით წინა ბროშურისგან აქ დამატებულია ის პუნქტები, რომ მასში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო რელიგიის წარმოშობის საკითხის გაშლას, ასევე რელიგიის კრიტიკის პარალელურად ყურადღება მიექცა საბჭოთა ხელისუფლების მიღწევებზე ყურადღების მიქცევას რაც მოსახლეობისათვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო იმის გათვალისწინებით, რომ აქ თვალნათლივ უნდა გამოჩენილიყო მატერიალისტურად მოაზროვნე და მოქმედი ხელისუფლების უპირატესობა მის წინამორბედებთან შედარებით. ასევე ნათქვამია, რომ საჭიროა გაღრმავებულიყო ანტირელიგიური პროპაგანდა, რომლის მიზანიც იყო „მოსახლეობის გათავისუფლება რელიგიური ცრურწმენებისაგან“ („ქრისტეს შობის“, 1938, გვ. 19).

ჩვენი კვლევისათვის საინტერესოა „მებრძოლ უღმერთოთა კავშირის“ თბილისის საოლქო საბჭოს პრეზიდიუმის 1929 წლის 12 დეკემბერს გამოქვეყნდა მოწოდება, რომელიც იმდროინდელი ქართული პრესის ფლაგმანში გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა, კერძოდ მასში საუბარია, რომ ამ ორგანიზაციის წევრების ვალდებულება იყო „თავდადებული და დაუღალავი შრომით საუკეთესო მაგალითი მიეცათ ყველა მშრომელისათვის, ებრძოლათ მღვდლების მიერ მოგონილი დღესასწაულების წინააღმდეგ“ („შობის“ წინააღმდეგ, 1929, გვ. 2.) ამავე ნომერში გამოქვეყნდა სტატია „გადავაქციოთ „შობის“ დღე ინდუსტრი-

ალიზაციის დღეთ“, მასში დაბეჭდილია სხვადასხვა ფაბრიკა-ქარხნების წარმომადგნენლების აზრი, რომლებიც მზად არიან შობა დღეს იმუშაონ და მათთვის რელიგიური დღესასწაულები არაფერს არ წარმოადგენს (გადავაქციოთ „შობის“, 1929, გვ. 2). აღნიშნული პუბლიკაციით, რომელიც ცალსახად ხელისუფლების მიერ იყო ინიცირებული მთავრობა ცდილობდა შეექმნა ისეთი გარემო თითქოს მის მიერ წარმოებული კამპანიების უკან რეალურად მოსახლეობის ნება-სურვილი იდგა.

საარქივო დოკუმენტების შესწავლა ცხადყოფს, რომ მებრძოლ უღმერთოთა კავშირის მუშაობა შობის დღესასწაულის წინააღმდეგ რეგიონებში ძალიან აქტიურად მიმდინარეობდა, მაგრამ იყო მნიშვნელოვანი ხარვეზებიც, ხელისუფლებას ადგილობრივ დონეზე მნიშვნელოვნად უჭირდა მოსახლეობის მობილიზაცია, იყო წინააღმდეგობის, შეხლა-შემოხლის შემთხვევებიც რასაც ხელისუფლება აქტიურ რეპრესიებს უპირისპირებდა.

საქართველოს ეროვნულ არქივში „მებრძოლ უღმერთო კავშირის ფონდში დაცულია საინტერესო დოკუმენტი, რომელიც ანტისაშობაო კამპანიის ინსტრუქციას წარმოადგენს და მისი შესწავლა ძალიან საინტერესო წარმოდგენას გვიქმნის ხელისუფლების მიერ გატარებული პოლიტიკის მრავალმხრივობაზე და მასშტაბურობაზე, რაც თავისი არსით დამყარებული იყო მოსახლეობის მაქსიმალურ დარაზმულობაზე და დიდი რაოდენობით ჩართულობაზე. თავისი არსით ეს დოკუმენტი არის ცირკულარული წერილი-მითითება, რომელიც 1936 წლის 12 დეკემბერს დაეგზავნა საქართველოს მებრძოლ უღმერთოთა კავშირის ყველა საოლქო და რაიონულ საბჭოებს, მასში გადმოცემულია ის ძირითადი მიმართულებები, რომლის მიხედვითაც ორგანიზაციებს უნდა ემუშავათ, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია სასკოლო დონეზე მუშაობაზე, ანტირელიგიური წრე, რომელიც აქტიურად იმუშავებდა უნდა გახსნილიყო ყველა სკოლაში. აგიტაციის დროს უნდა გამოყენებულიყო, როგორც საჯარო ლექციების კითხვა ასევე შესაბამისი შინაარსის კინოფილმების ჩვენება. ეს დოკუმენტი სრულად ასახავს და ზედმიწევნით ზუსტად გვიჩვენებს ხელისუფლების მიერ დაგეგმილი მუშაობის მასშტაბურობას და ყოვლისმომცველობას.

საკითხის მნიშვნელობიდან სტატიაში მას სრული სახით ვბეჭდავთ:

> საქართველოს მებრძოლ უღმერთოთა კავშირის
>
> ყველა საოლქო და რაიონულ საბჭოებს
>
> ა.წ. 15 დეკემბრიდან 1937 წლის 20 იანვრამდე ტარდება ანტისაშობაო კამპანია. ეს კამპანია ყოველ მხრივ უნდა იქნეს გამოყენებული რაიონებში ანტირელიგიური მუშაობის გასაძლიერებლად.
>
> ამიტომ წინადადება გეძლევათ ჩაატაროთ შემდეგი ღონისძიებები:
>
> მიაღწიოთ რათა საქ. კპ /ბ/ რაიონულმა კომიტეტებმა გამოყონ მომხსენებლების საჭირო კადრები, ჩატარდეს მათთან საინსტრუქციო თათბირი და განაწილდეს ისინი კოლმეურნეობებში.
>
> მოეთხოვოს განათლ. განყოფილებას ყოველმხრივ უზრუნველყოფილ იქნას საქ. განსახკომის ცირკულარული წერილი ანტისაშობაო კამპანიის სკოლებში ჩატარების შესახებ. გაეცანით განსახკომის აღნიშნულ ცირკულარს, დაეხმარეთ სკოლებს მის განხორციელებაში და აღრიცხეთ ყველა უჯრედები და ანტირელიგიური წრე, რომლებსაც დააარსებენ სკოლებში.
>
> მოელაპარაკეთ ადგილობრივ დრამ-წრეებს, რათა მოამზადონ და ჩაატარონ ანტირელიგიური დადგმები შობის წინა დღეებში.
>
> პროფეს. ორგანიზაციები და კომკავშ. რაიკომები აგრეთვე მიიღებენ ზემდგომ ორგანიზაციებისაგან მოწერილობას ანტისაშობაო კამპანიის ჩატარების შესახებ, საჭიროა დაუკავშირდეთ მათ და შეადგინოთ მათთან ერთად მთლიანი გეგმა რაიონში ანტისაშობაო კამპანიის ჩასატარებლად.
>
> დაევალოს ადგილობრივ კინოებს, რათა მოითხოვონ სახკინომრეწვიდან ანტირელიგიური სურათები,
>
> მოაწყონ მოძრავი კინო, მიამაგრონ მომხსენებლები და გაგზავნონ რაიონებში განათლ. განყოფილების და პროფორგანიზაციების ხარჯზე.
>
> გაძლიერდეს მუკ-ის ახალი უჯრედების ჩამოყალიბების საქმე და საწევრო წიგნაკების და მარკების გამოწერა საქართველოს მებრძოლ უღმერთოთა საბჭოს ცენტრალური საბჭოსაგან.
>
> ჩაატარეთ ხელისმოწერა რუსულ ჟურნალ „ბეზბოჟნიკ“-ზე /ხელის მოწერის წლიური ფასი 6 მანეთი/, ჟურნალ „ანტირელიგიოზნიკ“-ზე /ფასი 12 მან. წელიწადში/. ეს ჟურნალები უპირველეს ყოვლისა უნდა გამოიწერონ სამკითხველოებმა, სკოლებმა, კლუბებმა, ქოხ-სამკითხველოებმა და წითელმა კუთხეებმა.
>
> მოხენებისათვის გირჩევთ შემდეგ თემებს
>
> – სტალინური კონსტიტუცია და რელიგიის საკითხები.
>
> – რელიგია ფაშიზმის სამსახურში.

– ქრისტიანობის წარმოშობა.

– იყო თუ არა ქრისტე.

პირველი ორი თემისათვის მასალა გამოქვეყნებულია „ანტირელიგიოზნიკ“ და „ბეზბოჟნიკო“-ს ჟურნალებში, დაწყებული ა/წ. აგვისტოდან ყველა NN-ში.

შემაჯამებელი ცნობები კამპანიის ჩატარების შესახებ აუცილებლად გამოაგზავნეთ არაუგვიანეს 30 იანვრისა, ცნობებში აღნიშნულ უნდა იქნეს, რამდენი მოხსენება ჩატარდა, რამდენი კაცი დაესწრო, რამდენი უჯრედი, რამდენ წრე ჩამოყალიბდა, წევრთა რიცხვი და მუშაობის სხვა სახეები. (სუიცა, ფ. 1547, ს. 52, ფურც. 15-16).

როდესაც საარქივო მასალებზე გვაქვს საუბარი ყურადღება უნდა მივაქციოთ კიდევ ერთ დოკუმენტს, რომელიც ძალიან ნათელ შთაბეჭდილებას გვიქმნის ხელისუფლების მიერ წარმოებული პოლიტიკის საორგანიზაციო მხარეზე, კერძოდ საუბარი გვაქვს, ხელშეკრულების ნიმუშზე, რომელიც უნდა გაფორმებულიყო ერთის მხრივ „მებრძოლ უღმერთოთა კავშირსა“ და მეორეს მხრივ ლექციის წამკითხავ პირს შორის.

„ხელშეკრულება

ქალ. ტფილისი. 1937 წ. იანვრის ‘’ ‘’ დღე ერთის მხრივ საქართველოს მუკ-ის ცენტრალური საბჭო - ამხ. ..... სახით და მეორეს მხრივ ..... სახით ვდებთ ამ ხელშეკრულებას, რომლის თანახმად ამხ. ..... ვალდებულია ჩაატაროს ანტისაშობაო კამპანიასთან დაკავშირებით ანტირელიგიურ თემაზე „.....“ მოხსენებები ..... რაოდენობით ..... რისთვისაც საქართველოს მუკის ცენტრალური საბჭო ვალდებულია გადაუხადოს ამხ. ..... მოხსენება ლექციაში ..... მან ამხ..... ვალდებულია წარმოადგინოს ყოველგვარი ცნობები ჩატარებული მუშაობის შესახებ. საქა. მუკ-ის ცენტრალურ საბჭოში პირველ თებერვლამდე 1937 წლისა“ (სუიცა, ფ. 1547, ს. 52, ფურც. 85).

აღნიშნული ორგანიზაციის მუშაობის ანტისაშობაო მუშაობის შესწავლის კუთხით ძალიან საინტერესოდ გვეჩვენება „მებრძოლ უღმერთოთა კავშირის“ ოფიციალურ ბეჭდურ ორგანო - ჟურნალ „მებრძოლ ათეისტში“ დაბეჭდილი ორი პუბლიკაცია, ორივე მათგანს აერთიანებს ის რომ მათში გადმოცემულია ის ძირითადი მიმართულებები, რომლის მიხედვითაც ჟურნალის მესვეურებს უნდა ემუშავათ პირველი მათგანი წარმოადგენს მასალას მომხსენებლებისათვის თუ რა მიმართულებით უნდა ემუშავათ

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესო და მნიშვნელოვან პუბლიკაციას წარმოადგენს საქართველოს მებრძოლ უღმერთოთა კავშირის ხელმძღვანელის სტეფანე სახაროვის სტატია „რატომ და როგორ უნდა ვიბრძოლოთ შობის დღესასწაულის წინააღმდეგ“. ამ უკანასკნელის ჩვენთვის სამეცნიერო ღირებულებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ერთის მხრივ აღწერილია რეალობა, რომლის მიხედვითაც მებრძოლ უღმერთოა კავშირის წარმომადგენლების მიერ ამა თუ იმ რელიგიური დღესასწაულის წინააღმდეგ ბრძოლა შემთხვევით ხასიათს ატარებს (სახაროვი, 1940, გვ. 11), რის საპირისპიროდაც უნდა მომხდარიყო, როგორც ძირითადი რელიგიური ასევე ადგილობრივი დღესასწაულების სისტემატური მხილება და მორწმუნე საზოგადოების დარწმუნება რელიგიის მსახურთა საქმიანობის მცდარობაში, რაც სტეფანე სახაროვის მიხედვით გააძლიერებს მოსახლეობის „რელიგიური ტყვეობიდან განთავისუფლების პროცესს“ (სახაროვი, 1940, გვ. 13).

აღნიშნული კიდევ ერთხელ ადასტურებს რომ ხელისუფლების დამოკიდებულება რელიგიის წინააღმდეგ იყო რადიკალური და იგი არ აპირებდა თუნდაც მცირედი კომპრომისი დაეშვა ამ მიმართულებით. მიუხედავად ამისა, მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა 1943 წლიდან, როდესაც შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე ხელისუფლებამ განიზრახა ეკლესიისადმი დამოკიდებულება შეეცვალა და აქცენტი რადიკალური დაპირისპირებიდან მასთან თანამშრომლობაზე აიღო. აღნიშნულის გამოხატულება თავდაპირველად „მებრძოლ უღმერთოთა კავშირის“ საგიტაციო მუშაობის მიმართულების ცვლილებით აღინიშნა, ხოლო 1947 წელს კი ეს ორგანიზაცია საერთოდ გაუქმდა.

შობის დღესასწაულის წინააღმდეგ ბრძოლა განახლდა ნიკიტა ხრუშჩოვის მმართველობის დროს, როდესაც მან მკვეთრად „მეცნიერულ ათეისტური“ სახე მიიღო, რის დასტურსაც წარმოადგენს 1954 წელს აკადემიკოს კორნელი კეკელიძის ავტორობით გამოსული ბროშურა მეცნიერება ქრისტეს შობის შესახებ (კეკელიძე, 1954), რომელიც საზოგადოება „ცოდნას“ ეგიდით ჩატარებული საჯარო ლექციის სტენოგრამას წარმოადგენს. ამავე სერიით 1958 წელს გამოვიდა ფილოსოფოს ბიძინა ლუტიძის ბროშურა „ადგილობრივი ქრისტიანული დღესასწაულები და მათი მავნე ხასიათი“ (ლუტიძე, 1958) , სადაც დასახულია გზები, თუ როგორ უნდა მომხდარიყო რელიგიურ დღესასწაულების წინააღმდეგ მოსახლეობის ჩამოშორება. აღსანიშნავია, ისიც, რომ აღნიშნული ორგანიზაცია 1947 წელს სწორედ „მებრძოლ უღმერთოთა კავშირის“ ბაზაზე დაარსდა.

დასასრულს შეიძლება ითქვას, რომ კომუნისტური ხელისუფლების ათეისტური პოლიტიკის ერთ-ერთმა ყველაზე აქტიურმა ფლაგმან-

მა – „მებრძოლ უღმერთოთა კავშირმა“ თავის მრავალმხრივ და მრავალფეროვან მუშაობაში ერთ-ერთი გამორჩეული ყურადღება მიაქცია ბრძოლას საეკლესიო დღესასწაულების წინააღმდეგ, თავისი მნიშვნელობიდან გამომდინარე განსაკუთრებული ადგილი ამ მიმართულებით დაიკავა ღონისძიებებმა, რომლებიც შობის ბრწყინვალე დღესასწაულის წინააღმდეგ მიმდინარეობდა, რაც თავის მხრივ იმით იყო გამოწვეული, რომ ასეთ მნიშვნელოვან დროს ხელისუფლების აქტივისტებს მეტი შესაძლებლობა ჰქონდათ თავიანთი ძალის დემონსტრირება მოეხდინათ. საეკლესიო დღესასწაულებზე და მათ შორის შობის დღესასწაულზეც „მებრძოლ უღმერთოთა კავშირის“ მოღვაწეები აქტიურად ახერხებდნენ თავიანთი სააგიტაციო მუშაობის გაშლას, რასაც ორგანიზებული და მასშტაბური ხასიათი ჰქონდა.

ლიტერატურა:

(სუიცა, ფ. 1547, ს. 52, ფურც. 15-16). საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი №1547, საქმე №52.

(სუიცა, ფ. 1547, ს. 52, ფურც. 85). საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი №1547, საქმე №52.

„ქრისტეს შობის“, (1938). „ქრისტეს შობის“ დღესასწაულის და რეაქციული როლი (მასალები მომხსენებლებისათვის). თბილისი.

„ქრისტეს შობის“, (1938). „ქრისტეს შობის“ დღესასწაულის წარმოშობა და რეაქციული როლი. ჟურნ. „მებრძოლი ათეისტი“. 1939. №11.

„შობის“ წინააღმდეგ, (1929). „შობის” წინააღმდეგ საქართველოს უღმერთოთა კავშირის მოწოდება. გაზ. „კომუნისტი“. 1929. 12 დეკემბერი. №286.

გადავაქციოთ „შობის“ (1929). „გადავაქციოთ „შობის“ დღე ინდუსტრიალიზაციის დღეთ“. გაზ. „კომუნისტი“. 1929. 12 დეკემბერი. №286.

გვაზავა, 1922, ანტირელიგიური კამპანიის დასაწყისი და კომკავშირის შობა. გაზ. „კომუნისტი“. №302. 1922. 31 დეკემბერი.

კეკელია, (1924). კომკავშირის შობა. გაზ. „კომუნისტი“. 1924. 20 დეკემბერი. №291.

კეკელიძე, კ. (1954). მეცნიერება ქრისტეს შობის შესახებ. თბილისი.

ლუტიძე, ბ (1958). ადგილობრივი ქრისტიანული დღესასწაულები და მათი მავნე ხასიათი. თბილისი.

პავლიაშვილი, ქ. (2008). საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორია (1800-1945). ნაწილი 1. თბილისი.

პერისი, დ. (1998), Storming the Heavens: The Soviet League of the Militant Godless. Cornell University Press.

პოსპიელოვსკი, დ. (1988), Soviet Studies on the Church and the Believer’s Response to Atheism: Volume 3 of A History of Soviet Atheism in Theory and Practice, and the Believer. Volume 2. Palgrave Macmillan UK.

როგორ იბადებიან, 1922, როგორ იბადებიან ღმერთები. თეზისები ახალგაზრდათა კომკავშირის შობის დღესასწაულისათვის. გაზ. „კომუნისტი“. 1922. 31 დეკემბერი. №302.

რუმიანცევი, ნ (1938). ქრისტეს შობა, მისი წარმოშობა და კლასობრივი როლი. თბილისი.

ს. მ. (1923) კომუნისტური ახალგაზრდობის შობის დღესასწაული. გაზ. „კომუნისტი“. 1923. 10 იანვარი. №6.

საეკლესიო დღესასწაულები (1923) საეკლესიო დღესასწაულები. შობა ქრისტესი. გაზ. „კომუნისტი“. 1923. 7 იანვარი. №5.

სახაროვი, ს. რატომ და როგორ უნდა ვიბრძოლოთ შობის დღესასწაულის წინააღმდეგ // მებრძოლი ათეისტი. - თბილისი, 1940. - №12. - გვ.10-13.

სილაგაძე, ე. (2014). „მებრძოლ უღმერთოთა კავშირის ისტორია საქართველოში 1928-1947 წწ. ისტორიის დოქტორის (Ph.D) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია. თბილისი.

სმოლკინი, ვ. 2018, A Sacred Space Is never Empty. A History of Soviet Atheism. Princeton University Press.

ყუბანეიშვილი, ს. (1931). შობის დღესასწაული. მესამე შევსებულ-შესწორებული გამოცემა. ტფილისი.

შ. ა. (1924). კომკავშირის შობისათვის. გაზ. „კომუნისტი“. 20 დეკემბერი, 1924. 20 დეკემბერი. №291.

ხუციშვილი, მ. (1987). საქართველოს ეკლესიის სოციალურ-პოლიტიკური პოზიცია XIX-XX საუკუნეებში. თბილისი.